საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

შაბათი, სექტემბრის 10
1921 V 19
ფასი 1,00 მანეთი

№ 18

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღრიბმ ნიკოლოზის ასული და სამსონ მალაქიას ძე ასათიანები, ელენე სამსონის ასული და იოსებ კონსტანტინეს ძე აბაკილაები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ საყვარელი პირველების შვილის და მეორის დის

ნინო აბდუშელიშვილის

სულის მოსახსენებლად. წმის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში კვირას, სექტემბრის 11-ს 3 ნაშვადი დაიწყება 11 საათზე. 1783

მგზავრთა პროფკავშირი

განცხადება:

დღეს სექტემბრის 10 ს სადამოს 5 საათზე არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში შესდგება საერთო კრება ბეჭდვითი საქმის კავშირის წევრთა.

დღიური წესრიგი:

1) მიმდინარე მომენტი—მომხსენებელი **ფ. მახარაძე.**
2) დელეგატთა არჩევნები სრულიად საქართველოს მბეჭდავთა ყრილობაზე.
3) მიმდინარე საქმეები.

ამხანაგებო! საკითხების მნიშვნელობისა გამო დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა; გთხოვთ არ დაიგვიანოთ.

იმ შემთხვევაში თუ რომ არ გამოცხადდა წევრთა საკმარისი რიცხვი, იმავე დღეს და იმავე შინაზე დაინიშნება მეორე კრება ხალამოს 6 საათზე, რომელიც ჩაითვლება კანონიერად მიუხედავად დამსწრეთა რიცხვის რაოდენობისა. წესვლა საწევრო წიგნაკებით.

გამგეობა.

ტრიბუნიდან

14.

პასუხი.

ამ ჟამად ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებას ვაქცევთ ეროვნულ საკითხს. კომუნისტები ასევე დიდ ყურადღებას აქცევენ კლასობრივ პოლიტიკას. მაგრამ ვინაიდან კლასობრივი შემოქმედება ცხოვრებაში ტარდება და ამ დარგში სადაო საკითხებიც მკვირე გვაქვს, ხოლო ეროვნული პრობლემა დღესაც თეორიაა, სადაო ძალიან ბევრი ბუნებრივია ჩვენც იმ საკითხს უნდა დავსტრიალებდეთ, რომელიც საძიებელი, გასაშუქებელი და გასაკეთებელია.

ეროვნულ საკითხს უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში დიდი გამარჯვება ხვდა წილად. ამ საკითხს საოცარი ბუნება აქვს—მისი აბსოლუტურად თავიდან მოშორება არავის შეუძლია. მარქსი ამბობდა—სამშობლო არ მაქვსო, მაგრამ იმავე დროს თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა თუ ვინმე გერმანიას შეგლალავდა, რომელიც მისი ნამდვილი სამშობლო იყო. მთელი თანამედროვე მსოფლიო მაინც ეროვნულად ეწყობა თუნდაც ნაკლებად ისმოდეს ეროვნული დალადისები. მე III კომინტერნის მთელი ცოცხალი ძალა ეროვნულ დვრა დარაზმული. ერთი სიტყვით, ეროვნული სტიქია ქარიშხალია, რომელსაც ვერც ერთი ადამიანის ძალა ვერ შეაჩერებს, ეს სტიქია ყველას გადალახავს, ყველას დაიმორჩილებს.

შეუძლებელია იქვიც შევიტანოთ ეროვნული საქმის გამარჯვებაში. ერების ცხოვრება ეროვნულად გაიმარჯვებს, ერების მოშალი—ფედერაციაა, ამას მთელი თანამედროვე კულტურის მსვლელობა გვაკარნახებს, მაგრამ ამ ფატალურ აფაილებლობასაც სამსახური სჭირიან, ნიადაგის შემზადება, ხელის შეწყობა.

„კომუნისტში“ რ. კ. ამბობს: „ერ. საკითხი ჩვენთვის ერთი მთავარი საკითხთაგანია, მაგრამ ყოველშემთხვევაში მხოლოდ საკითხია და არა ერთი მთლიანი პოლიტიკა, ამიტომ ეს ჩვენ მიერ განხილული უნდა იქმნას **ჩვენი** მთლიანი კლასობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით“. *)

რ. კ. წერილი „ეროვნული პოლიტიკა თუ კლასობრივი?“ („კომ.“ № 155) სავსეა ბუნდოვანობით თუმცა ყოველი სიტყვა ჭართულია და გასაგები; პატარაა წერილი, მაგრამ მრავალია წინააღმდეგობა და გაუგებრობა. საოცარია ის, რომ ამხ. რ. კ. კლასობრივი პოლიტიკა მიაჩნია მთლიან პოლიტიკად, ეროვნული—არა. ეროვნულ თვალსაზრისს არ არჩევს, არ ანაწილებს, თქვენ წარმოიდგინეთ სათანადოდ არც კლასობრივ ინტერესს ყოფს თავისი შინაარსით, მაგრამ ამის და მიუხედავად კლასობრივი უპირისპირდება ეროვნულს, ხოლო კლასობრივი od hoc მიჩნეულია დადებითად, ეროვნული უარყოფითად. ამიტომაა, რ. კ. ამბობს: „ჩვენ შევიკებისათვის რომ გეკითხათ, ისინი გეტყოდენ, რომ ატარეენ, როგორც კლასობრივ ისე ეროვნულ პოლიტიკას. მაგრამ გენა დასაჯერებელია, **რომ ერთდაიმავე დროს ორი მოწინააღმდეგე კლასის ინტერესები დაიცვა?** ეს ხომ ერთდაიმავე დროს ღვთისა და ეშმაკის სამსახური იქნება?“ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ორი მოწინააღმდეგე კლასი და ეროვნება? უნდა აღვნუსხოთ: კლასობრივი პოლიტიკა მარტო პროლეტარიატს კი არ აქვს, ბურჟუაზიასაც გააჩნია, ერთი სიტყვაა **კლასი**, მაგრამ ის სხვა და სხვა გვარია. ასევეა ეროვნული საქმეც. ერთი სიტყვაა ერი, ეროვნება, ეროვნული, მაგრამ მისი გაგება, ინტერპრეტაცია სხვა და სხვაა, ესე იგი ეროვნული პოლიტიკა ბურჟუაზიულიც და პროლეტარულიც. შეუძლებელია მუშის ინტერესი დაიცვა და ამავე დროს ბურჟუაზიული ეროვნული პოლიტიკა აწარმოოს, მაგრამ ამ უსარგებლო **სიზიფის** მუშაობას ჩვენ ხომ არ ვეწევიგებთ. ჩვენ მოვითხოვთ: საქართველოს მშრომელმა კლასმა აწარმოოს **პროლეტარიატის** ნაციონალური პოლიტიკა, ვინაიდან პროლეტარული ნაციონალიზმი პროლეტარულ სოციალიზმს კი არ უარყოფს, არამედ ავსებს და სრულქმნის.

რ. კ. თავის წერილში ამბობს „მემარცხენე ნაციონალისტებზე“. ეკვს გარეშეა ჩვენ ვართ მიზანში ამოღებული. ვსარგებლობთ ამ გარემოებით დ ალვნუსხავთ: საქართველოში ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებდნენ ნაციონალ-დემოკრატები, მენშევიკები, სხვანიც, მაგრამ ამათ პოლიტიკას ჩვენ ვსახავდით ბურჟუაზიულ ნაციონალურ პოლიტიკად, რასაც უპირისპირებდით პროლეტარულ სოციალისტურ ნაციონალიზმს და ვებრძოდით მთელის ჩვენის სისასტიკით. ისტორიულ ტერიტორიას ჩვენ წინ დაუყენეთ რეალური ტერიტორია, ზოგადოებრივი ენების თანასწორობა, შეღლს შეთანხმების პოლიტიკა, სეპარატიზმს—ფედერალიზმი. ერთი სიტყვით ჩვენ ვარჩევთ გასარჩევს და არ ვრევთ არც საკითხებს, არც მცნებებს.

ჩვენი ავტორი ამბობს: „ჩვენ მუდამ ვიმყარებოდით და ეხლაც ვემყარებით მხოლოდ კლასობრივ პრძოლას... რომ ჩვენ მხოლოდ მუშათა კლასის ჭეშმარიტი ინტერესები ვართ“. აქაც დიდი გაუგებრობა და არეულობა. თუ აქაც მეტი ლინათლე არ შევტანეთ, აქაც არ შევარჩიეთ მცნებები—დავიბნევთ. მუშათა კლასის ფრაზეოლოგია კიდევ არ ნიშნავს სოციალისტურ და რევოლიუციონურ საქმის კეთებას, ვინაიდან დღეს **მუშათა კლასი** კიდევ არ ნიშნავს სოციალისტურ და რევოლიუციონურ პოლიტიკას. მუშათა კლასი დაჩაგრული სოციალური კატეგორიაა, მაგრამ თუ ეს კატეგორია არ შეავსეთ დაჩაგრულ ერის ძალით—მუშათა კლასი რევოლიუციონური ვერ იქნება. დღეს რევოლიუციონური მხოლოდ **დაჩაგრულ ერის მუშათა კლასია** და არა **საზოგადოდ მუშათა კლასი.** საფრანგეთში მუშათა კლასია, მაგრამ -გი მუშათა კლასი არ არის რევოლიუციონური, მიტომ, რომ საფრ. მუშათა კლასი მარტო კლასობრივად იჩაგრება, მთავარი კი ეროვნული ჩაგვრაა, ეროვნული ბატონობის მოსპობა. საფრანგეთის ეროვნული ბატონობა ალეერზე, ტუნისზე, სენეგალზე, გვიანაზე, ახალ კალედონიაზე ადუნებს საფრანგეთის მუშათა კლასის კლასობრივ ჩაგვრას და საშუალებას აძლევს ეროს კიდევ იბატონოს მუშათა მასაზე. ინგლისის მუშების კლასობრივ ჩაგვრას ადუნებს ინგლისელების ბატონობა ინდოეთზე, ცეილონზე როდიზეიაზე, ეგვიპტეზე, ლაბრადორზე, მთელ ავსტრალიაზე და ესეც საშუალებას აძლევს ჰენდერსონს იბატონოს ინგლისის მუშებზე. პატარა ბელგია იმონავებს ვეებერთელა კონგოს აფრიკაში 20 მილიონი ხალხით და ამათი ექსპლოატაცია ვანდერველდეს აძლიერებს. რ. კ. გონია, რომ მუშათა კლასი ეროვნული ჩაგვრიდან არაფერს იღებს და არ სარგებლობს ბატონი ერის მუშათა კლასიც სარგებლობს დაჩაგრულ ერის მუშების ექსპლოატაციით და თუ ამ საკითხში ამხ. რ. კ. ჯერ კიდევ არ გარკვეულა—სხვა საკითხია—ყოველ შემთხვევაში ამ საკითხში მარქსიც, ენგელსიც, ლენინიც და მამათ მთავრებიც გარკვეულნი იყვნენ და რასაც აქ აღნუსხავთ საუკეთოთ სწერდნენ, აქვეყნებდნენ, რაიცა არა ერთხელ გადმოგვწერია ჩვენც, როგორც საინტერესო მასალა.

მაშინ, როცა გერმანიამ ომი წაგება და დაკარგა კამერუნი, ტოგო, სამოა, ბისმარკის არხიპელაგი და მთელი ჰეგემონია მცირე აზიაში—გერმანიაში კაუცკის და ბერშტეინს ნიადაგი გამოეცალა, სადაც ჯერ გოლფერდინგი გაბატონდა და შემდეგ კარლოს ლიბკნიხტის ძალა.

ჩვენს წინამე მეტად დიდი საკითხი სდგას და მარტივად იმის თქმა, რომ საკმაოა მუშა იყო და უზარუნველყოფილი იქნები ყოველი ჩაგვრისაგან—ოცნებაა და ზღაპარი. ამისათვის უნდა იყო **დაჩაგრულ ერის მუშა,** რომ რევოლიუციის მაქსიმუმი მისცე.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა მივიღოთ ეკონომიურ მეცნიერებაში დღეს ურყევ დებულებად მიჩნეული: **კლასობრივი ჩაგვრა მუშათა კლასის ბრძოლამ შეასუსტა ძალიან.** ტიუერგოს, მალთუსს, რიკარდოს და ლასალს ეგონათ, რომ მუშების გაპერეგების მარტო ულმობელი მაზრის კონკურენცია ფარგლავს. მარქსიზმმა ამ დებულებაში გენერალური ცვლილება შეიტანა და კლასობრივი ბრძოლით, პროფესიონალური კავშირით რამდენადმე კლასობრივი ჩაგვრა შეანელა და ალაგმა. თანამედროვე კლასობრივი ჩაგვრა ოდნავადაც არა ჰგავს მეთვრამეტე საუკუნის კლასობრივ ჩაგვრას, თუმცა დღეს რ. კ. ისევე ლაპარაკობს კლასობრივ ჩაგვრაზე, როგორც ტიუერგოს და გოდვინის მოწაფენი ხსენებულ საუკუნეში. წინად კლასობრივი ჩაგვრა მუშების განუზომელი იყო, ამიტომაც იყო იგი აკმაყოფილებდა კაპიტალიზმს. ფინანსიური კაპიტალისათვის სრულიად უმნიშვნელოა კლასობრივი ჩაგვრიდან ალებული ზედმეტი ლირებულება, მისთვის დიდი „ჰეშეპტებია“ საჭირო, დიდი ახალი ტერიტორიების და ახალი ერების დამონავება. მთელი თანამედროვე ომებიც სწორედ ამიტომ სწარმოებს, ესე იგი კლასობრივი ჩაგვრა კი არ არის თანამედროვე იმპერიალიზმის უმთავრესი საფუძველი, არამედ მთელი ერების ჩაგვრა კი არ არის თანამედროვე იმპერიალიზმის უმთავრესი საუკუძველი, არამედ მთელი ერების ჩაგვრა—აი მისი მთავარი ძარღვი. კლასი ალარ აკმაყოფილებს იმპერიალიზმს, მას მთელი ერი სწყურიან, აი ამიტომაა, რომ კლასობრივი ჩაგვრიდან მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს ეროვნული ჩაგვრას და ამიტომ ვეკ ჩვენ განსაკუთრებული და მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ეროვნულ მხარეს. ერთა სიტყვით—თანამედროვე იმპერიალიზმის უმთავრესი ლუკმა კლასი კი არაა, ერია, ამიტომაა ვინც მთავარ ყურადღებას მართო კლასობრივს აქცევს ის, რევოლიუციის ტალღას სცილდება, ხოლო ვინც დაჩაგრულ ერების საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ის განსაკუთრებულ სამსახურს უწევს რევოლიუციას. დაჩაგრულ ერის იდეოლოგია მუშათა იდეოლოგიაც არის, მაგრამ დაჩაგრულ კლასის იდეოლოგია მხოლოდ ნაწილაკია თანამედროვე დიდი რევოლიუციების.

რ. კ. ამბობს: „მუშათა კლასი მხოლოდ შრომას ემყარება, ის არ ჩაგრავს არავის, არ შეუძლია ერი დაჩაგროს“. ეს მართალია აბსტრაქტულად, მაგრამ შემცდარია ისტორიულად. საკვირველია, რომ მარქსისტი რ. კ. მეტაფიზიკურად მსჯელობს დიალექტიური შემეცნების მაგიერ. ისტორიული და ეკონომიური პირობების გამო საფრანგეთის მუშათა კლასი ინაწილებს დაჩაგრულ ერის მუშათა კლასის ჩაგვრასაც, ესე იგი მართალია მუშა არ უნდა ფეცქვნიდეს სხვა მუშას, მაგრამ განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში ბატონი ერის მუშა სტანჯავს მონა ერის მუშას.

რ. კ.—ს შეუძლიან გვითხრას: რუსის მუშა, როგორც დაჩაგრული როგორ დაჩაგრავს ქართველ მუშასო. ჩვენც ის გვინდა, რომ ეს არ მოხდეს და იმიტომაც ვართ ერთგვარს კონტაქტში კომუნისტებთან, რომ გვწამს რუსეთის დაჩაგრული მუშა ქართველ მუშის სრულს ეროვნულ უფლებებს დაიცავს. ჩვენი საკითხი მარტივია თუ საგანგებოთ არ გავართულებთ. ჩვენ ეროვნულის მხრივ მეტი არაფერი გვინდა იმისა, რასაც ეროვნულის მხრივ აკეთებენ კომუნისტები რუსეთში. ჩვენ გვინდა ეროვნული თავისუფლება, ესე იგი საქართველოში ქართულიკულტურა, ესე იგი მუშათა კლასის ბუნება ბუნებადვი განმტკიცდეს.

ეროვნულ საკითხში დეკლარაციებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. 1820-5 წლებში ინგლისი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბრაზილიის განთავისუფლებაში პორტუგალიის კლანჭებიდან, ესპანიის ამერიკულ ყველა კოლონიის განთავისუფლებაში იმავე ინგლისმა დიდი მონაწილეობა მიიღო, მაგრამ იმიტომ, რომ თავისი გაბატონება სურდა იმაიე კოლონიებში. ეს გატონობა გამოიხატება ბატონი ერის ენის ხმარებაში, ბატონი ერის ფულის ასპარეზის გაშლაში, ბატონი ერის დამახასიათებელ მოვლენების გაფაქრთოვებაში. ფრანგი მწერალი ე. შვიე იმპერიალისტია, მაგრამ თავის დიდ თხზულებაში აღნუსხავს ინგლისისადმი ინდოელების უსაზღვრო მძულვარებას. მართო—იმიტომ კი არა, რომ ინგლისელები ბურჟუები არიან, როცა ინგლისელი მუშა ინდოელს ინგლისურ ეროვნულ ატრიბუტებს სახელმწიფოებრივის მაშტაბით თავზე მოახვევს, ის ინგლისელ მუშასაც შეიძულებს, იმიტომ, რომ ეროვნული თავისუფლება არავისათვის ისე საჭირო და ძვირფასი არ არის, როგორც მუშისა და გლეხისათვის. ეროვნულ ჩაგვრას ბურჟუაზია და თ.-აზნაურობა ნაკლებად განიცდის, ვიდრე მუშა. ინდიელთის მკვიდრი ბატონები მშობლიურ ენას ივიწყებენ და ძველ სპარსულს ეხმარებენ, ეკატერინე მე-II-ს სასახლეში რუსულის მაგიერ ფრანგული იყო ხმარებაში, დიდ ეკონომისტს ფრ. ლისტს მთელი შრომა აქვს, სადაც სავსებით გარკვეულია, რომ სამშობლო ვაჭრისათვის, ბურჟუაზიისათვის არც კი არსებობს. ერთი სიტყვით, სამშობლო ყველაზე ძვირფასი მუშათა კლასისათვისაა. სხვა და სხვა მოვლენების დროს სამშობლოდან გარბიან ბურჟუაზიული ძალები, მუშები და გლეხები ყოველთვის სამშობლოშია. სამშობლო მუშის საფუძველია, ეროვნება მუშის სიცოცხლეა.

მართალია: რუსეთის კომპარტიას არ დაუსახავს მიზნად საქართველო აიკოს თავისი მუშებით, თავისი მოხელეებით, თავისი ენა გაბატონოს, თავისი აგენტები და ვაჭრები გამოგზავნოს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს კომპარტიის გარეშეც, ესე იგი ასეთ მოვლენას ჩვენ უნდა ვებრძოლოთ, როგორც მავნებელს. ერთი სიტყვით, უნდა ვაწარმოოთ სოციალისტური ნაციონალისტური პოლიტიკა, დავამტკიცოთ, რომ დაჩაგრულ მუშას მართლა არ შეუძლია დაჩაგრულ ერის მუშათა კლასის დაჩაგვრა და მსოფლიოს ერებს მაგალითით დავანახოთ — ბურჟუაზიის ეროვნული თავისუფლება სიტყვებია, პროლეტარიატის ეროვნული თავისუფლება—საქმეა. ეს იქნება რევოლიუციის უდიდესი მამოძრავებელი ძალა, ეს საერთო დებულებანი ჩამოვაყალიბოთ ფორმებში, ესე იგი დეკლარაციას სახელმწიფოებრივი ფარგლები გაუკეთოთ—მერწმუნეთ—საქართველოში თანამედროვე სოციალისტურ წყობილებას ვერავითარი მენშევიკები და ანტანტა ვერას დაგაკლებს.

თედო ლლონტი.

საერთო გრძოლისათვის

კაპიტალიზმის პერიპეტიების აცდენა სადავო საკითხი იყო რუსეთის ინტელიგენციისათვის. რუსი სუბიექტივისტები ხედავდნენ რუსეთის სინამდვილეში ისეთ ნიშანდობლივ თვისებათ, რომელნიც მათი აზრით აძლევდნენ საშუალებას რუსეთის ხალხს ევლო გარეშე კაპიტალიზმის პერიპეტიებისა; ეს მათი აზრით შესაძლო იქნებოდა რუსეთის სინამდვილის, შინაგან მამოძრავებელ ძალზე დაყრდნობით. სოც.-დემოკრატების აზრით ეს შეუძლებელი იყო მანამდის, სანამ ევროპა და საერთოდ მსოფლიო იმყოფებოდა კაპიტალისტურ რკალში. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ევროპასთან ალეგ მცენმობით და კულტურულად ჩამორჩენილი რუსეთი როდი იყო თავისუფალი ამ სიტყვის სრულ მნიშვნელობით; მით უმეტეს რევოლიუციის შემდეგ: ომში დაზარალე-

*) სადაც იქნება ხაზი—ჩვენია—ავტ.

ბულ, განადგურებულ რუსეთის ისევ კაპიტალისტურ წარმოებისაკენ და ბურჟუაზიულ რესპუბლიკისაკენ ლტოლვა უდრიდა მონარქ-საკენ ლტოლვას

ასეთი ერთვნული საფრთხის თავიდან აცდენა თითქოს მოახდინეს ბოლშევიკურ რუსეთის გამოცხადებით,—მათმა ხელისუფლებამ თვისი რწმუნებით მსოფლიო სოც.-რევოლიუციის მოახდენის აუცილებლობისა. ჩვენ არ ვამბობთ მსოფლიო სოც.-რევოლიუციის მიდება ნაკარნახევი იყოს ერთვნულ „მოსაზრებით, პირიქით ისტორიულ მოვლენლობის განსვერეტით. ლენინის აზრით კაპიტალიზმი ევროპაში დრომორეკმულია. ფინანსიური კაპიტალი მისი უკანასკნელი ფაზისია და კაპიტალისტურ-იმპერიალისტური კულტურის ფესვებიც ძირომამალია. ევროპა ახალ ხანაში გადადის. ის მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის წინ სდგას და რუსეთის რევოლიუცია იქნება მისი უვერტიურა. ის გარემოება, რომ რუსეთი სამეურნეო ქვეყანაა, თემობრივ მიწათმფლობელობით, აძლევდა იმედს ლენინს გაეხადა ეს გარემოება გამოსავალ წერტილად მომავალ კომუნისტურ რესპუბლიკისათვის და მაშინ, როდესაც მსოფლიოს მოედებოდა სოც. რევოლიუციის ცეცხლი, რუსეთი შესძლებს სოციალისტურ ხანაში შესვლას ევროპასთან ერთად და ევროპის რევოლიუციის მიმართ ვერ ითამაშებს ეანდარმერიის როლს...

ბოლშევიკური მოძრაობა რუსეთში ამ მხრივ, როგორც ვხედავთ, შორდება ერთვნულ ფარგლებს და ისახავს საკაცობრიო, ინტერნაციონალურ მიზნებს. ბრძოლა მსოფლიო სოც. რევოლიუციის იდეისათვის, მაგრამ ამ ბრძოლაში შეცნობილათ თუ შეუმცნობლად მაინც მარხია მომენტი, რომელიც გამომდინარეობს რუსეთის ხალხის საკეთილდღეოდ მიმართულ, გათვალისწინებულ მოსაზრებიდან. მოსაზრება ეს მიჰყვა შედეგად მსოფ. სოც. რევ. იდეიის მიღებას და რწმუნებას. ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

რა მოსაზრებაა ეს რუსეთის ხალხის საკეთილდღეოთ მიმართული მოსაზრება? ჯერ ერთი, როგორც ვსთქვით, ომისაგან განადგურებულ რუსეთის ლტოლვა ისევ კაპიტალისტურ ცივილიზაციისაკენ უდრიდა რუსეთის ხალხის მონობის უღელისაკენ ლტოლვას. მეორეთ ისა, რომ კაპიტალიზმის პერიპეტიების (ტკივილების) აცდენა და მის გარეშე მოძრაობა ნაკარნახევია რუსეთის სინამდვილის ნიშანდობლივ თვისებათა: თემობრივ მიწათმფლობელობით და სხვათა მეოხებით და რომელნიც იძლეოდნენ საბაბს კომუნისტურ წყობილების განმტკიცებისა. ყოველივე ეს გახლავთ ერთვნული მომენტი, მოსაზრებანი რუსეთის ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული შეცნობილ, წინასწარ გათვალისწინებული თუ შეუმცნობელი სულ ერთია. ის მოჰყვა შედეგად მსოფ. სოც. რევ. იდეიის მიღებასა და რწმუნებას. საინტერესოა გაგოედვე, თუ რას მისცემს საქართველოს ხალხს მსოფ. სოც. რევ. იდეიის მიდება და რწმუნება? მართალია ჩვენში არ არის თემობრივი მიწათმფლობელობა და სხვა ატრიბუტები კომუნისტურ წყობილებისათვის: საქართველო წვრილ მესაკუთრეთა ქვეყანაა, მაგრამ ჩვენშია მომენტი ერთვნული, რომელიც ეთანხმება მსოფ. სოც. რევ. იდეას. სანამ იმპერიალისტურ კაპიტალისტური ცივილიზაცია არსებობს, მანამ საქართველო სრული დამოუკიდებელი სახელმწიფო რიდია, ისევე ვით იყო რუსეთიც. მის თავისუფლებას და ღირსებას შეეღალავს მასზე ადებ-მიცემობით და კულტურით უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ერი. ამ საფრთხის თავიდან ასაცდენად, სანამ კაპიტალისტური ხანაა, საქართველოს სჭირია ტიტანურ ენერგიის გადება ადებ-მიცემობის, ერთვნულ კულტურის ასაყვავებლად, რათა ამ საშუალებით მოვახდენთ მხოლოთ გადავანიზაციას იმ იმპერიალისტურ სურვილებისა, რომელნიც ჩვენ გადასაყლაპად იქნება მომართული.

მხოლოდ მსოფ. სოც. რევ. შემდგომ არის ეს ხიფათი (ერთვნული) ძლეული. მხოლოდ მაშინ შევსძლებთ სრულ თავისუფლებაზე და ერთვნულ კულტურაზე ლაპარაკს. ამ მხრივ ჩვენი და რუსეთის (ყველა ჩამორჩენილ ერების) ხიფათი იგივეა. ჩვენი გზები ერთმანეთს ხვდებიან. აქ არის ჩვენი საერთო ბრძოლაც. ეს ყოველივე ასეა, ხოლო როცა საკითხი ერის ინტერესებს შეეხება, მაშინ მართებულ იდეიისათვის ბრძოლასთან ერთად არსებობს ერის ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკაც. ბრძოლის დადებითი შედეგების გათვალისწინება, ძალთა განწყობილების აწონ-დაწონვა.

ერის საღი პოლიტიკა კი დღეს გვავალებს: მხნე საგარეო და საგალებ-მიმცემლო, ეკონომიურ ადორძინებისაკენ მიმართულ პოლიტიკას. მთავარია: დავგრძელოთ უცილოთ, ეხლავ ნივთიერი და სულიერი სიმდიდრე. გარეშე ამ.ა საქართველოს არ აშორდება მონობის უღელი. მხოლოდ ადორძინებულ საქართველოს შეუძლიან თავგამოდებით იბრძოლოს მსოფ. სოც. რევ. იდეიისათვის და არა განიავებულს. ეს უნდა ესმოდეს ერის გულშემატკივრ.ს. ეს უნდა ესმოდეს მმართველ პარტიასაც.

ა. ჭ—ძე.

კიდევ პოლიტიკაზედ

(გაგრძელება).

გაზ. „კომუნისტი“ უბერხულ მდგომარეობაშია. ზოგიერთი მოსაზრებების გამო ის ერიდება ჩვენთან კამათს, მაგრამ არ შეუძლია უყურადღებოდ დასტოვოს რასაც ჩვენ ვწერთ ვინაიდან ვიწვევთ მშრომელ ხალხის ყურადღებას მათი ინტერესების სისწორით გაშუქებით, ამიტომ ეკამათება ჩვენ აზრებს და რადგანაც სოციალისტ-ფედერალისტის ხსენება არ უნდა, ლაპარაკობს ნაციონალისტებზედ ან მემარცხენე ნაციონალისტებზედ. რომ გაგიგონიათ ანდაზა: მუდლ გელაპარაკები, რძალო შენ გეყურებოდესო?

კარგა ხანია ჩვენ მოვითხოვთ საქ. რევკომისაგან საღი ერთვნულ-კლასობრივი პოლიტიკის წარმოებას. ეს მიუღებლად მიაჩნია გაზ. „კომუნისტს“ და ცდილობს ჩვენი დუმულების უარყოფას (იხ. „კომუნისტი“ № 155: „ერთვნული პოლიტიკა თუ კლასობრივი?“), ავტორი ცდილობს გაარკვიოს კლასობრივი და ერთვნული პოლიტიკა, მაგრამ მიზანს სრულიად ვერ აღწევს, რადგანაც თვითონ არაა გარკვეული ამ საკითხში. ამიტომ ზოგჯერ ფაქტებს სისწორით აღნიშნავს, მაგრამ დასკვნები შეცდარი გამოჰყავს. სწერია, მაგ. წერილის დებულება, რომ ბურჟუაზია მუდამ ერთვნულ პოლიტიკას აწარმოებს, მუდამ ერის სახელს ფიცულობს, მაგრამ მისი ერთვნული პოლიტიკა კლასობრივი ბურჟუაზიული პოლიტიკაა. ავტორის აზრით აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მუშათა კლასმა არ უნდა აწარმოოს ერთვნული პოლიტიკა.

სწორი მსჯელობა კი ეი როგორი იქნება: ბურჟუაზია აწარმოებს კლასობრივ პოლიტიკას, მაგრამ ასადებს მას ერთვნულ პოლიტიკად, ე. ი. ჩადის საყალბეს ამაში „კომუნისტი“ არ გაბოროტდეს. მაგრამ როდესაც ჩვენ ვამბობთ: ნაცვლად ბურჟუაზიის ყალბ-ერთვნულ პოლიტიკისა მუშათა კლასმა უნდა აწარმოოს ახალი ერთვნული პოლიტიკა თქო, „კომუნისტი“ არ გვეთანხმება: ერთვნული პოლიტიკა ბურჟუაზიული პოლიტიკაო. აქ უკვე ავიწყდებათ, რომ ბურჟუაზიის პოლიტიკა კლასობრივია და არა ერთვნული.

ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი კლასობრივი პოლიტიკისა. მაგრამ წინააღმდეგ ვართ ბურჟუაზიის კლასობრივი პოლიტიკისა, რომელსაც ის ერთნულ სამოსელში ხვევს. ამ ყალბი ერთვნული პოლიტიკის საშუალებით ბურჟუაზია თავის კლასობრივ მიზნებს უმორჩილებს ერს, ერის ყველა ელემენტებს აკეთებინებს ბურჟუაზიის, ე. ი. უმცირესობის საქმეს. ის იგრავს ერის უმრავლესობას. ამიტომ ვებრძვით მას.

მუშათა კლასმა კი უნდა აწარმოოს საღი ერთვნული პოლიტიკა, ე. ი. ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამოიყენებს მთელ ერს, ყველა მის ელემენტებს უმრავლესობის სასარგებლოდ. უმრავლესობა კი მშრომელი ხალხია. ამიტომ ასეთი პოლიტიკას ხშირად ვეწოდებთ კლასობრივ ერთვნულ პოლიტიკას ან ერთვნულ კლასობრივ პოლიტიკას.

რამდენად მშრომელთა კლასი წარმოადგენს ერის ნაწილს და ამასთან მის უდიდეს ნაწილს, უმრავლესობას, იმდენად მისი კლასობრივი პოლიტიკა უნდა იყოს ერთვნული. მარქსისტების აზრით ეს არ შეიძლება.

„პოლიტიკა საზოგადოთ კლასობრივია და შეიძლება ის იყოს „ერთვნული“ ვინაიდან ის უმთავრესად ეყრდნობა კლასებს, კლასთა შორის ბრძოლას და არა ერებს, ერთა შორის ბრძოლასო“, ვკითხულობთ „კომუნისტში“. ცოტა ქვევით კი სწერია: ბურჟუაზიის ბატონობის დროს რუსეთის პოლიტიკა იმპერიალისტურ-რუსიფიკატორული იყო, ხოლო როცა მუშათა კლასი გაბატონდა, „მაშინ კი ერთვნულმა პოლიტიკამ სულ სხვა სახე და შინაარსი მიიღო. ამ ორი ხანის ერთვნული პოლიტიკაც ერთი მეორისაგან ისე განირჩევა, როგორც ბურჟუაზია მუშათა კლასისაგან“. ჩვენ ხაზი გაუსვით ავტორის იმ სიტყვებს, რომელიც ადიარებს, რომ საბჭოთა რუსეთიც ერთვნულ პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ ის განსხვავდება წინანდელი ერთვნული პოლიტიკისაგან. ეს კი უარყოფა ცოტა ზევით გამოთქმული აზრის, ვითომც პოლიტიკა არ შეიძლება იყოს ერთვნული. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა, ეს ბოლშევიკების პოლიტიკაა; ეს კლასობრივი პოლიტიკაა, მაგრამ ამავე დროს ყოფილა ერთვნულიც. ამის მეტს არც ჩვენ ვამტკიცებთ რასმე. რუსეთის ბოლშევიკები აწარმოებენ ერთვნულ პოლიტიკას, მაგრამ არ დალატობენ კლასობრივ პრინციპს. ჩვენ ვამბობთ: საქართველოს მუშათა კლასმაც უნდა აწარმოოს საერთო ერთვნული პოლიტიკა, რომ უკეთ დაიცოს თავისი კლასობრივი ინტერესები. მაგრამ ამისათვის საჭიროა ნაკლები გაღლენა ჰქონდეს მაზედ „შენით ჩემი ვაკეთო ხალხს“, როგორც ამას საქართველოანად მოითხოვს იმავე ნომერში ერთი მუშა (იხ. წერილი: „ხმა მუშისა“).

ო.

ახალი ამბები

— პეტრე მირიანიშვილმა დასწერა სამუსიკოდ: 1. ვეფხის ტყაოსანი ექვს სურათად (1, თინათინის დაგვირგვინება 2, ტარიელის პოვნა ავთანდილისაგან გამოქვაბულში- 3, ფატმანის წვეულება, 4, ნესტან დარეჯნის და ტარიელის გამიჯნურება, 5, ნესტან დარეჯნის გადაკარგვა, 6, ნესტან დარეჯნის განთავისუფლება) 2. აბირანი ოთხ სურათად (1, დალისა და სულკალმახის მიჯნურობა, 2) ბრძოლა ბაყბაყ მდევთან, 3) ქაჯთ ბატონის წვეულება ყამარ ქალეს დდეობის გამო, 4) ბრძოლა განგებასთან) 3. მეფის ვეფხვი ოთხსურათად. ერთი ეპიზოდი აშოტ კურაპალატის ცხოვრებისა (1, ჭანის ქალის მაიას მოყვანა ეეშურ-ტლად, 2, წვეულება აშოტ კურაპალატისა, 3, გრ. ხანძთელის მიერ მაიას წაყვანა მერეს დედათ მონასტერში, 4, დედა წინამძღვრის ფეერონიას მიერ უარით გასტუმრება აშოტ მეფისა) საძესიკო სურათებში დაცულია ვეფხის ტყაოსნისათვის სტილი შოთა რუსთველის და ოქროპირ ბატონიშვილისა, ამირანისთვის ხალხური პოეზიისა და მეფის მარცხისთვის გიორგი მერჩულისა.

— ყოფილმა მასწავლებელთა კოოპერატივმა „უნივერსალმა“ განაახლა მუშაობა და ამიერიდან წევრებად მიიღებს განათლებისა და სოც.-კულტურის მუშაკთა კავშირის წევრებს.

რუსეთი

კომპარტია. მოსკოვის გაზ. „პრავდა“-ს 28 აგვ. ნომერში სტატისტ. ცნობებია კომუნისტურ პარტიის წევრების შესახებ. სტატისტიკა ეხება შიდა რუსეთის 31 გუბერნიას. პეტროგრადისა და მოსკოვის გუბერნიებში კოპპარტიაში ძველი (თებ. რევოლიუციამდე) წევრები ყოფილან 4 პროც., დანარჩენ გუბ.—2 პრ. 1917 წლის ბოლოს პარტიაში ჩაწერილა 22 პრ. ხოლო 67 პრ. 1918-20 წ. შემადგენლობის სურათი შემდეგია: მუშები—45 პრ. ხელოსნები 5 პრ, გლეხობა—17 პრ., კანტორის მოხელენი 21 პრ. ინტელიგენტური 25 პრ. სხვები—7 პრ. 158.480 წევრში 59626 მოდის პეტროგრად-მოსკოვის რაიონზე, ესე იგი 38 პროც. დანარჩენი 62 პრ.—29 გუბერნიას. საგუბერნიო ქალაქებშია 58 პრ. სამაზრო—42 პრ. ასში 89 ვაჟია, 11—ქალი. უმაღლესი და საშუალო განათლება ვაჟებში აქვთ მიღებული 12 პრ. ქალებში—30 პრ., დაბალი—ვაჟებში 75 პრ., ქალებში—50 პროც.

უცხოეთი

ანგორა. 4. სექ. ფრონტზე სიწყნარეა. მოწინააღმდეგე მეტად ცუდ პირობებშია.

ტრაპეზონი. 1. სექ. გაზეთი „ტევხიდი გეჯკიორის“ ცნობით საბერძნეთის შემოტევა ვერ აღწევს დიდ შედეგებს შედარებით წინა ბრძოლებთან. დღეს ბერძნებს გაცილებით მცირე ძალა აქვს, ვიდრე წინათ ქონდათ.

ანკორა. 1 სექ. ივლისის დასასრულს ანგორის მთავრობის დადგენილებით დაწესდა გადასახადი ვაჭრობაზე 40 პროცენტის რაოდენობით საქონლის დირებულებაზე. ეს გადასახადი არ ეხება სასურსათო პროდუქტებს. ამ ზომამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიწვია საქონლის გაძვირება.

რომი. 7. სექ. ერთა ლიგის საბჭომ იტალიის დეპუტატის შანტერის წინადადებით, რომელსაც მხარი დაუჭირა იაპონიისა და საფრანგეთის დელეგატებმა, დაავალა გახსაკუთრებულ განიარადების კომისიას შეადგინონ კანონი, რომელთაც კერძო პირებს აეკრძალება იარაღის წარმოება.

საქ. პროფკავშირებში

ოქმი.

სოციალისტური კულტურის პროფ. კავშირთა ოზურგეთის სამაზრო დელეგატთა ყრილობისა, რომელიც შესდგა 1921 წ. 14 აგვისტოს ქალაქ ოზურგეთში, ვაჟთა გიმნაზიის შენობაში.

ყრილობის დღის წესრიგი: 1. სამაზრო დრ. კომიტეტის მოხსენება, 2. მოხსენებები ადგილებიდან, 3. ნივთიერი მდგომარეობა და სკოლა, 4. სამაზრო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები და 5. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ყრილობაზე დელეგატების არჩევა.

ყრილობას ხსნის სამაზრო დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე ჰალატონ კვირკელია. ის კომიტეტას სახელით ესალმება ყრილობას, უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას და წინად დებას ძლევს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. ყრილობაზე წარმოდგენილია მაზრაში არსებულ კავშირების ყმ, ესწრება პროფკავშირთა სამაზრო ბიუროს წარმომადგენელი.

ყრილობის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქმნა ყარამან ქარცივაძე, მდივნათ—პორფილე ქინქლაძე.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომიტეტის თავმჯდომარე ჰ. კვირკველია, ის აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ეს პირველი ყრილობაა იმ დარგის მუშაკებისა, რომლებიც ეწევიან დიდსა და მძიმე მუშაობას განათლებისა და კულტურის საქმეში. ჩვენს, მასწავლებელ-კავშირში, გარდა მასწავლებლებისა, შეძოდიან ჩვენ-ა ისანი, ვინც კი რაიმე დანიშნულებას ეწევა განათლების ასპარეზზე. სამაზრო დროებითი კომიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებას შეადგენდა შევსება ჩვენი კავშირისა ასეთი ელემენტებისაგან. ამ საფუძველზე მოწყობა კავშირის ადგილობრივი კომიტეტების და მოწვევა სამაზრო დელეგატთა ყრილობისა მუდმივი ცენტრის შესაქმნელათ კავშირის სამაზრო კომიტეტის სახით. ამ მუშაობას სამაზრო კომიტეტი ეწეოდა უმთავრესათ კანცელარიის საშუალებით. ამის ნაყოფია ადგილობრივი ორგანიზაციების დაარსება მაზრის უმეტეს ადგილებში და დღევანდელი ყრილობა. გარდა საორგანიზაციო მუშაობისა, სამაზრო კომიტეტი ყურადღებას აქცევდა მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობას და განათლების განყოფილების დახმარებით სცდილობდა გავლენა მოეხდინა ვისზედაც დამოკიდებული იყო იმ მდგომარეობის შემსუბუქება.

მოხსენების შემდეგ შემოიქვეთ შეკითხვები: 1. რომელი დროიდან არის შემოღებული სურსათის ნორმა, 2. რით აიხსნება, რომ ერთნი კმაყოფილებას ღებულობენ სისტემატიურათ აპრილიდან, მეორენი—სრულიად დავიწყებული არიან, ან ღებულობენ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ.

მომხსენებელი უპასუხებს, რომ ასეთი ნორმა შემოღებულია 1 მაისიდან, კმაყოფილების მიღებას აპრილის თვიდან უნდა ჰქონოდეს კრძოობითი, შემთხვევითი ხასიათი. ხოლო, რაც შეეხება თვის დროზე სურსათის მიუღებლობას, ამ მოვლენას სასურსათო კომიტეტი ხსნის სურსათის უქონლობით.

პროფ. კავშირის სამაზრო ბიუროს წევრი [illegible] ბიუროს-მიერ [illegible] იმის გამო, [illegible] ბიუროს არ იცოდა ყრილობის მოწვევის შესახებ.

ჰ. კვირკველია უპასუხებს, რომ კომიტეტმა სიტყვიერი თანხმობა მიიღო კრების მოწვევისათვის ბიუროს პასუხისმგებელ მდივნის ნ. ქურიძისაგან, ხოლო შემდეგ წერილობითი ნებართვა გამოითხოვა პოლიტიკური ბიუროსაგან.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება, ყრილობას დამაკმაყოფილებელად მიაჩნია კომიტეტის მუშაობა და გადადის მორიგ საკითხზე.

კეთდება მოხსენებები ადგილებიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მასწავლებლობის დიდ უმრავლესობას სრულიად მიუღებელი აქვს ხვედრი სურსათი. არა აქვს მიღებული სამი თვის ჯამაგირი. თუ თავის დროზე არ იქნა მიღებული საათანადო ზომები, მომავალი სამოსწავლო წლიდან ბევრ ადგილებში შეუძლებელი იქნება ნორმალური მეცადინეობის დაწყება სკოლის მენობის უვარგისობისა და საჭირო ინვენტარის უქონლობის გამო.

მოხსენების დამთავრებამდე დარბაზში შემოდიან მილიციის წარმომადგენელნი და ყრილობის ნებართვას მოითხოვენ. თავმჯდომარემ გადასცა მათ პოლიტიკური ბიუროს წერილობითი ნებართვა, სადაც აღნიშნული იყო დღის წესრიგი. დრო და ადგილი ყრილობისა. მათ ეს ნებართვა დამაკმაყოფილებელად არ მიაჩნიათ და მოითხოვენ ყრილობის შეწყვეტას. პროფ.-კავშირთა სამაზრო ბიუროს წევრი, კირილე ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ „ყრილობა მოწყობილია სეპარატიულათ, აქ შემოპარულან ბინძური ხელებით და ცუდი განზრახვით. აქ სხვა საქმე კეთდება; ჰაერში ცუდი სული ტრიალებს, ყრილობა უსათუოთ უნდა დაიხუროს, რადგან პროფკავშირთა ბიუროს მას უკანონოთ „ლიკვიდირებს“-ო. ხოლო ამავე ბიუროს წევრები: ნიკოლაიშვილი და თიკანაძე აცხადებენ, რომ ჩხარტიშვილის განცხადება სიმართლეს არ შეეფერება, ვინაიდან ბიუროს დღეს, დილის სხდომაზე, მიიღო რა სამაზრო ყრილობის მოწვევის ფაქტი, კანონიერად ჩასთვალა ის და, აცხადებენ ისინი, ისინი წარმოგზავნილნი არიან ამ ყრილობაზე. სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ჰ. კვირკველია ამბობს ყრილობის საყურადღებოთ, რომ კომიტეტის მიერ ყრილობა მოწვეულია სრულიად კანონიერი გზით და მოუწოდებს მას განაგრძოს მუშაობა.

ყოველივე ამის შემდეგ მილიციის წარმომადგენელნი ნაბნანიძე მაინც მოითხოვს ყრილობის შეწყვეტას საქმის საბოლოოდ გამორკვევამდე.

ყრილობა შესწყდა. სამაზრო რევკომთან მოლაპარაკების შემდეგ ყრილობას ნება დაერთო მუშაობის გაგრძელებისა, ხოლო დღის წესრიგიდან ამოშალეს ყრილობიდან მთავარი საკითხები: 3 ნივთიერი მდგომარეობა და სკოლა და 5 თბილისის ყრილობაზე დელეგატების არჩევა.

ადგილებიდან მოხსენებების შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი წინადადება: მოისმინა რა მოხსენებები ადგილებიდან ყრილობა, დაინახა რა რომ მასწავლებლების დიდი უმრავლესობა არ არის დაკმაყოფილებული ხვედრი სურსათით და ჯამაგირით, სთხოვს მთავრობა ადგილ ჩაროს ნასული თვეების სურსათისა და ჯამაგირის მიცემა.

კავშირის სამაზრო კომიტეტში არჩეულ იქნენ: 1. ჰალატონ კვირკელია, 2. გიორგი ენკაძე, 3 ყარამან ქარცივაძე, 4. პორფილე ქინქლაძე, 5. ეპიფანე ვასაძე. კანდიდატებათ—ალექსანდრე დანელია და ვლადიმერ ჩიკაშუა.

სარევიზიო კომისიაში—მარო ლომინაძე, კარპეზ ბარამიძე და ილიკო ორბაგველიძე.

ყრილობის თავმჯდომარე ყ. ქარცივაძე

მდივანი ჰ. ქინქლაძე

დელეგათა სწორია: სოციალისტური კულტურის პროფკავშირის ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ალ. კვირკველია.

მდივანი ჰ. ქინქლაძე

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.